25/12/2024

MES 4 24 0001652577

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 19 დეკემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Dec. 19, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88287985803?pwd=y7KxXmt795uNzWAkC72ajEjtSEaRj1.1
Meeting ID: 882 8798 5803
Passcode: 686797

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

კახაბერ კახიაშვილი - დირექტორის მოადგილე
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ნათია გოგინაშვილი - იურისტი
გიორგი ნასყიდაშვილი - შპს „ბაღის მართვის“ დირექტორი

ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა

მაკა ვარდოსანიძე - დირექტორი
ლალი ალფაიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ალექსანდრე აფციაური - პროგრამის განმახორციელებელი პირი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერი

რუსუდან სანიკიძე - ხალხისა და კულტურის, შრომის უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციის დირექტორი
ლიკა მეგრელიშვილი - ხალხისა და კულტურის, შრომის უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე, სწავლებისა და განვითარების მიმართულებით.
მერი ფანცულაია - სასწავლო პროცესის კოორდინატორი
მარიამ შოთაძე - პროექტის „GWP-ის აკადემია წყალმომარაგების სექტორში კვალიფიციური პერსონალისთვის“ მენეჯერი
პეტრე წულუკიძე - პროექტის „GWP-ის აკადემია წყალმომარაგების სექტორში კვალიფიციური პერსონალისთვის“ კოორდინატორი.

შპს პმ სქული

სერგეი რუდენკო -დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:

თამარ ახალაძე
ნათია იორდანიშვილი
ირმა ღარიბაშვილი
ლია ავალიანი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ,,ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში“ /02167/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის „ტყის მცველი“ /02165/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

3. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალარინების გარე ქსელების მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა“ /02161/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ /02162/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა“ /02164/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ /02163/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს პმ სქულის „კლასიკური მასაჟი“ /02144/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ „ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში“ /02167/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 20 ნოემბრის №1500407 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 26 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში ქ. გორში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.10 და 2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, 1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რეკომენდებულია დაკორექტირდეს შეფასების წესი, დაემატოს მსმენელის მიერ გასაჩივრების პროცედურები, ხოლო 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ რეკომენდებულია პროგრამას მდგრადობის მიზნით დაემატოს განმახორციელებელი პირი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 32 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი: ქ. გორი, ბესიკის ქ. №2.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, საქართველოს რეგიონები და მუნიციპალიტეტები ნიადაგობრივი, კლიმატური და ეკონომიკური პირობების შესაბამისად დაყოფილია მეხილეობის და სუბტროპიკული კულტურების ზონებად. საქართველოში სამრეწველო მეხილეობის ძირითად ზონას შიდა ქართლი წარმოადგენს. მათ შორის გორის რაიონი ხილის ძირითადი მწარმოებელია.
ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად შენდება ხეხილის ბაღები და ირგვება საწარმოო ტიპის მცენარეები, რომლებიც ადგილობრივი ჯიშებისაგან იმით განსხვავდება, რომ მაღალმოსავლიანია და საუკეთესო საბაზრო მაჩვენებლები (ვიზუალი, გემური თვისებები) აქვს, თუმცა ამ ჯიშებს სჭირდებათ განსაკუთრებული მოვლა და აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ზედმიწევნით დაცვა.
აგრეთვე დარგში შემოსულია წარმოების ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენებას სჭირდება ზუსტი ცოდნა და სწორი გამოყენება. ინტენსიური, ნახევრად ინტენსიური ბაღების მოვლას სჭირდება სპეციალური ცოდნა, რაც აუცილებელია უხვი და ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ხეხილის მაღალ და ხარისხიან მოსავალს ღებულობენ. მეხილეობის დარგი ნამდვილად საჭიროებს კვალიფიციურ კადრებს, შრომის ბაზარზე ამ კადრების დეფიციტი აშკარად შესამჩნევია.
პრობლემის მოგვარების მიზნით, კერძო სექტორის წარმომადგენლებს პროფესიული უნარების სააგენტოსთან კომუნიკაციის შედეგად, კოლეჯთან თანამშრომლობით, სურთ მოკლევადიანი პროგრამის განხორციელება გერმანელი ექსპერტის ჩართულობით, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება როგორც პრაქტიკული, ასევე დანორმების შესახებ გაიდლაინების შემუშავებაში. სწორედ დანორმების პრობლემა დგას დღეს აგრონომიაში. ჰორმონალური დანორმება ახლა ინერგება, მწირია გამოცდილება და საჭირო ნივთიერებებიც ან არ არის ბაზარზე, ან ნაკლებადაა, რაც არჩევანის საშუალებას ზღუდავს. დანორმების გარეშე ვერ გადაწყდება ორი პრობლემა: 1. თუ არ მოხდება დანორმება, ხე ისხამს ბევრ და წვრილ ნაყოფს, რაც იწვევს შემდგომ ზედმეტ შრომას - მეტი რესურსი ჭირდება მოკრეფას, შემდეგ დახარისხებას, რაც საბოლოოდ იწვევს ფასის ზრდას; 2. მეწლეურობა.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული კვალიფიკაცია, ან უმაღლესი განათლება, ან ამავე სფეროში არანაკლებ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.
პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „ბაღების მართვის კომპანია“.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დაწესებულება არის ავტორიზირებული, ის ყველა ქვესტანდარტს აკმაყოფილებს, კერძოდ, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც ასევე დასტურდება შემუშავებული დოკუმენტით, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, იურიდიული პირი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ გაეკეთებინათ კომენტარი გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობისთვის რა თქმა უნდა სასურველია რამდენიმე პირის არსებობა, თუმცა აქამდე ვერ იქნა მოძიებული კვალიფიციური კადრი, ახლაც მიმდინარეობს მოძიება, ასეთი კადრის საქართველოში მოძიება ძალიან ძნელია, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო კვალიფიციური კადრის უცხოეთიდან მოწვევა და ასეთ შემთხვევაში მათ გათვალისწინებული აქვთ, რომ გადამზადდებიან ადგილობრივი კადრები და გადამზადებული კადრიდან შეირჩევა შემდეგ ეტაპზე კომპეტენტური პირი, შესაბამისად დაწესებულებას ერთი ნაკადის განხორციელება მოუწევს ერთი განმახორციელებლით, თუმცა შემდეგი ეტაპიდან თვითონ კომპანიის წარმომადგენელიც გეგმავს, რომ ჩაერთოს.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გაესაუბრნენ კომპანიის წარმომადგენელს, შეეძლო თუ არა კომპანიას, კვალიფიციური კადრი ჩართულიყო ამ პროგრამაში, აღმოჩნდა, რომ მას აქვს გამოცდილება, განათლება, კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში და აქვს შესაძლებლობა და სურვილიც რომ ამ პროცესში ჩაერთოს, თუნდაც შემდგომ ეტაპზე, შესაბამისად პირველი ნაკადის სწავლება მოხდება უცხოელი ექსპერტის ჩართულობით და შემდეგ მას შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაია აბდალაძემ აღნიშნა, რომ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი ფლობს გერმანულ ენას, რომლის დახმარებითაც ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება თვითონ გერმანელ განმახორციელებელთან, რომელმაც მზაობა და ინტერესი გამოხატა და რა თქმა უნდა თანახმა არის, რომ აღნიშნული პროგრამა განახორციელოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ,,ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში“ /02167/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

როგორც თავიდან აღინიშნა, საბჭოს სხდომას ესწრებოდა რვა საბჭოს წევრი, ელ. სისტემაში ხარვეზის გამო საბჭოს წევრმა მარიამ ნოზაძემ ვერ შეძლო ელ. სისტემაში ხმის დაფიქსირება, თუმცა სიტყვიერად დაადასტურა, რომ ეთანხმება აღნიშნულ საკითხს

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში/02167/ **(დანართი 1).**

2. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის „ტყის მცველი“ /02165/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნათია იორდანიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 20 ნოემბრის №1500425 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ნათია იორდანიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 29 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლაში, საგარეჯოს რაიონის სოფელი ნინოწმინდაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ორი რეკომენდაცია, კერძოდ, 1.1 და 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით.

1.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში აღინიშნა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დასაქმების პერსპექტივების უკეთ გამოკვეთის მიზნით, მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილში გამოყენებულ იქნეს საქართველოს კანონი - ტყის კოდექსი, შესაბამისი მუხლების მითითებით. ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამის თემატიკა და სწავლის შედეგები იძლევა იმის საშუალებას, რომ კურსდამთავრებული დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და არ შეიზღუდოს რომელიმე უწყებაში არსებული კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციით (მაგ. ტყის მცველი), აღნიშნული აისახოს პროგრამის აღწერაში. ხოლო 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა შემდეგი, რომ პროგრამის თემატიკის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო რესურსს დაემატოს ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ტყის ხანძრებისა და მავნებელ-დაავადებების მართვის, ასევე, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების გაცემის საკითხებს.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: საგარეჯოს რაიონი, სოფელი ნინოწმინდა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტთან მიმართებაში.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სახელწოდება „ტყის მცველი“ გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან, არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმა არის გასაუბრება.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან (24 ივლისი 2024 წ - 31 დეკემბერი, 2027 წ), პრაქტიკული სწავლებისთვის აქვთ დაშვება მარიამჯვრის დაცულ ტერიტორიაზე.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერთა სკოლა ახორციელებს რამდენიმე წელია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, შესაბამისად აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გამოეთქვათ პოზიცია გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ იზიარებენ ყველა რეკომენდაციას და აუცილებლად ასახავენ.
საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულებას, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში ასახონ ცვლილებები და შემდეგ აცნობონ საბჭოს აპარატს, შემდეგი რეაგირებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლის „ტყის მცველი“ /02165/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

საბჭოს სხდომას ესწრებოდა რვა საბჭოს წევრი, ელ. სისტემაში ხარვეზის გამო საბჭოს წევრმა მარიამ ნოზაძემ ვერ შეძლო ელ. სისტემაში ხმის დაფიქსირება, თუმცა სიტყვიერად დაადასტურა, რომ ეთანხმება აღნიშნულ საკითხს

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ

პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ტყის მცველი /02165/ **(დანართი 2).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხების განხილვამდე 13:04 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ ქუჩულორია.

3. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალარინების გარე ქსელების მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა“ /02161/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ /02162/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა“ /02164/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ /02163/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის ოთხივე საკითხი ერთიანი პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 8 ნოემბერს №1438105, №1438098, №1438093 და №1437370 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების „წყალარინების გარე ქსელების

მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა“, „წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და მონტაჟი“, „წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა“ და „წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2024 წლის 26 და 27 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, მისამართზე ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია გადამზადების პროგრამებთან მიმართებით, რომელიც ეხება 1.5 ქვესტანდარტს. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან პროგრამის თემატიკა მოიცავს მხოლოდ ორგანიზების საკითხებს, რაც უფრო მე-3 დონეს შეესაბამება, პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ კომპანია ზედამხედველობის საკითხსაც განიხილავს პროგრამაში, შესაბამისად, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონესთან შესაბამისობის მიზნით, რეკომენდებულია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამებს დაემატოს ზედამხედველობის საკითხები თემატიკაში, ასევე, სწავლის შედეგებში აისახოს აღნიშნული უნარი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „წყალარინების გარე ქსელების მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 26 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

„წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 26 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

„წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 26 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

„წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 26 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 40, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამშენებლო კომპანიებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან გამოვლენილი საჭიროებების კვლევით, რომელიც ჩატარდა 2023 წელს, ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია“-ის ორგანიზებით, პროექტის „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა სამშენებლო სექტორში“ ფარგლებში და მხარდაჭერილი იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების - GIZ-ის მიერ, დასტურდება, რომ კომპანიების მოსაზრებით, რამდენიმე წლის შემდეგ ყველაზე მოთხოვნად დასაქმების პოზიციებს შორის ერთ-ერთი იქნება წყალმომარაგება-წყალარინების მშენებლობის ტექნიკოსი. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდა 41 სამშენებლო პროფილის მქონე კომპანია და 25 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. მზარდია მოთხოვნა წყალმომარაგებისა და წყალარინების მიმართულების კვალიფიციურ კადრებზე, რაც ქმნის საფუძველს, რომ პროგრამების კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა. წყალმომარაგების სისტემების სპეციალისტებზე მოთხოვნა დასტურდება სხვადასხვა კვლევებით, თუმცა, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მიერ აღნიშნული პროგრამის შემუშავების ძირითადი საფუძველი გახდა კომპანიაში არსებული მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ ტექნიკურ პერსონალზე.

დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა კომპანიის საუკეთესო გამოცდილებაზე, კერძოდ კომპანიაში სასწავლო ცენტრი გაიხსნა 2017 წლის 12 აპრილს, რომლის მიზანია ახალი

თანამშრომლების მომზადება; არსებული თანამშრომლების გადამზადება; კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა. თანამშრომელთა სწავლება/გადამზადება, ძირითადად, მიმდინარეობს ტრენინგ ცენტრში, რომელიც ემსახურება კომპანიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს. სწავლებისა და განვითარების პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან: სწავლების საჭიროებათა ანალიზი (TNA); სასწავლო პროცესის დაგეგმვა; სწავლების ორგანიზება და ჩატარება; სწავლების ეფექტურობის და რეზულტატურობის შეფასება. კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ 2017-2024 წლებში მომზადდა 4537 მსმენელი; გადამზადდა 9846 მსმენელი. განხორციელდა 70-ზე მეტი უნიკალური სასწავლო პროგრამა: 46 პროგრამა პროფესიის კუთხით; 14 პროგრამა რბილი უნარების გასაუმჯობესებლად; 11 პროგრამა ტექნიკური უნარების გასაუმჯობესებლად; განხორციელებული პროგრამებიდან: 22 პროგრამა სასწავლო ცენტრის მიერ შედგენილი; 14 სერტიფიცირებული პროგრამა. სწავლება აღნიშნულ წლებში განხორციელდა კომპანიის შიდა სერტიფიცირებული ტრენერების, მოწვეული დარგის ექსპერტების, მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ.

შემდეგ დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი ქვესტანდარტებით.

წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა - ფორმა 100, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამებზე - წყალმომარაგება-წყალარინების დარგში მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება ან/და პროფესიული კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა - ფორმა 100.

წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარითა და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით კომპანიის წარმომადგენლებთან, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელების, მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი და პირობები

წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ის ძირითადად არ ექვემდებარება შეფასებას. 3.1, 3.2 და 3.4 ქვესტანდარტები შესაბამისობაშია, იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ეს დასტურდება კომპანიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ასევე კომპანიის საუკეთესო გამოცდილებით, ასევე კომპანიის ვებგვერდით, სასწავლო აკადემიის ვებგვერდით, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი

დოკუმენტაციით. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ და კითხვარებით. რაც შეეხება დანარჩენ ქვესტანდარტებს, უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილების არარსებობის გამო 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ კომპანიის მიერ ძალიან მაღალი დონის პროგრამებია წარმოდგენილი, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროგრამების შემუშავებაში, მან დასძინა, რომ ამ მიმართულებით ძალიან უჭირს საკვალიფიკაციო პროგრამებსაც მუშაობა, წარმოდგენილ პროგრამებში კარგად არის ეს ყველაფერი აწყობილი და თუ ამ მოდულებს გამოიყენებენ საკვალიფიკაციო პროგრამების მოდიფიცირების პროცესში, ძალიან კარგი იქნებოდა, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც ძალიან კარგი პრეცედენტია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ყველას დადებითი უკუკავშირისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს აღნიშნული პროგრამების დეტალურად შეფასებისთვის და წარმატებები უსურვა კომპანიას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალარინების გარე ქსელების მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა“ /02161/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს (ს/კ: 203826002) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - წყალარინების გარე ქსელების მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა /02161/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ /02162/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს (ს/კ: 203826002) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი /02162/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა“ /02164/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს (ს/კ: 203826002) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა /02164/ **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის „წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი“ /02163/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს (ს/კ: 203826002) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი /02163/ **(და ნართი 6).**

აღნიშნული საკითხების კენჭისყრის დროსაც, ელ. სისტემაში მარიამ ნოზაძემ ვერ დააფიქსირა თავისი ხმა, მან დაუდასტურა საბჭოს, რომ ოთხივე საკითხს ემხრობოდა.

7. შპს პმ სქულის „კლასიკური მასაჟი“ /02110/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 21 ნოემბრის №1505321 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ლია ავალიანმა შეისწავლეს შპს პმ სქულის პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური მასაჟი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 4 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს პმ სქულში, მისამართზე ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 4.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 4.
მან მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი. პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/-მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, მასაჟის სპეციალისტებზე მოთხოვნა დასტურდება სხვადასხვა კვლევებით და ონლაინ დასაქმების პორტალზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობითაც. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება

პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით. პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, შპს პმ სქული, სადაც პროფესიული მომზადების პროგრამა განხორციელდება, განთავსებულია 55 კვ. მ. ფართში, რომელიც უზრუნველყოფილია მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი სივრცით. სწავლების სივრცე აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, დაცულია მსმენელთა უსაფრთხოების, ჰიგიენისა და დეზინფექციის ნორმები. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ორგანიზაცია აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. ხოლო 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს და დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი და სასარგებლო თანამშრომლობისთვის ყველას მათი მხარდაჭერისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პმ სქულის „კლასიკური მასაჟი“ /02144/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს პმ სქულს (ს/კ:400330717) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა კლასიკური მასაჟი /02144/ **(დანართი 7).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 13:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02167	ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	32	ქართული	30	ქ. გორი, ბესიკის ქ. N2

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02165	ტყის მცველი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	15	საგარეჯოს რაიონი, სოფ.ნინოწმინდა

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02161	წყალარინების გარე ქსელების მშენებლობა და ავარიების აღმოფხვრა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	10	ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02162	წყალარინების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	26	ქართული	15	ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02164	წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი და ავარიების აღმოფხვრა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	20	ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02163	წყალმომარაგების ქსელების ექსპლუატაცია და რემონტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	26	ქართული	40	ქ. თბილისი, ნუგზარ შანავას ქ. №14

დანართი 7

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02144	კლასიკური მასაჟი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	5	ქართული	24	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 4